საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 თებერვალი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 25 (10 194) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტსახკომისა და საქართველოს რაგბის კავშირის 1990 წლის 31 იანვრის საგანგებო სხდომის

დადგენილება

1. 1990 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად გაიმართოს „საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი საქართველოს ყველა სარაგბო გუნდის მონაწილეობით.

2. დღესდღეობით სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილე გუნდები და მოთამაშეები ამიერიდან მოვალენი არიან იასპარეზონ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც, თუ ასეთი გუნდი ან მოთამაშე თამაშს იუარებს, გაირიცხება საქართველოს რაგბის კავშირიდან.

3. დაევალოს საქართველოს სპორტსახკომის სპორტთამაშების სამმართველოს და რაგბის კავშირს 1990 წლის 20 თებერვლამდე წარმოადგინოს განსახილველად საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დებულება.

საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე
ნ. ენდელაძე,

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი.
ა. გოცირიძე.

ამიერიდან — ეროვნული ჩემპიონატი

ოთხშაბათს უჩვეულო ხალხმრავლობა იყო თბილისის სარაგბო კლუბ „შევარდენში“. ყველა თაობის მორაგბეების თავშეყრის ადგილს ამ საღამოს პატივსაცემი სტუმრები ეწვივნენ — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი პაატა ნაცვლიშვილი, სპორტულ ფედერაციათა საბჭოს თავმჯდომარე ვანო ყიფიანი, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ჯანსუღ ბაგრატიონი და სხვანი, რაგბის ქომაგობითა და მფარველობით ცნობილი ადამიანები.

სხვა დროსა და სხვა ვითარებაში სტუმრებს იქნებ მხოლოდ კლუბის ღირსშესანიშნაობანი დაეთვალიერებინათ და ძველი ამბების გახსენებით მოეთხრობინათ გული, მაგრამ ამჯერად მათ სტუმრობას ერთობ საქმიანი ხასიათი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ამ დღეს კლუბში უნდა გამართულიყო საქართველოს რაგბის კავშირის საგანგებო სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა ეროვნული ჩემპიონატის გამართვა-არგამართვის საკითხი.

როგორც მკითხველს მოეხსენება, შარშან დეკემბერში გადაწყდა, რომ წელს საქართველოს ჩემპიონატში რვა გუნდი ორ წრედ იასპარეზებდა. მაგრამ „ლელოს“ გამოსვლის შემდეგ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ამ გუნდების შემადგენლობაში სურვილისამებრ დაეშვათ „მამლუქებიც“ — სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მოთამაშეები.

მერე და მერე მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ალექსი გოცირიძის დაჟინებითი მოთხოვნით გადაწყდა, საქართველოს ჩემპიონატში „მამლუქთა“ კლუბებიც ჩაერთოთ. სწორედ ამ საკითხის განსახილველად გაიმართა საგანგებო სხდომა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას რაიმე ვნებათაღელვა არ მოჰყოლია.

საბოლოოდ, სხდომამ დაადგინა, რომ „1990 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად გაიმართოს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რაგბში საქართველოს ყველა სარაგბო გუნდის მონაწილეობით. სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს ამიერიდან ევალებათ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშიც. თუ ასეთი გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს იუარესებს, ის გაირიცხება რაგბის კავშირიდან. ის მორაგბეები, რომლებიც განზრახ აარიდებენ თავს საქართველოს ჩემპიონატს, ვერ მოხვდებიან ვერანაირ ეროვნულ ნაკრებში და ვერც საერთაშორისო შეხვედრებში გამოვლენ. ეროვნულ ჩემპიონატს მეურვეობას გაუწევს გლდანის რაიონის საწარმო-გაერთიანებათა ასოციაცია. მის მიერ გაღებული ხარჯების სანაცვლოდ ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა ასოციაციის რეკლამა უნდა გასწიონ“.

ამგვარად, „აია“, „ელმავალი“ და „მიმინო“ საქართველოს ჩემპიონატშიც აღმოჩნდნენ ჩაბმული. ამით წამოიჭრება შეჯიბრების ისეთი დებულების და კალენდრის შედგენის პრობლემა, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ეროვნული ჩემპიონატის წესიერად გამართვას.

ვნახოთ, რას მოიმოქმედებს რაგბის კავშირის საშეჯიბრებო კომიტეტი.

ზაალ ბიბინეიშვილი.

ლეილა მესხის ორმაგი გამარჯვება



ოკლენდი. ლეილა მესხმა, ჩვენმა სახელოვანმა ჩოგბურთელმა კვლავ ერთხელ გაახარა გულშემატკივრები. შორეული ახალი ზელანდიიდან, სადაც ის ამ ...ეს ლეილა ჩემპიონატში მონაწილეობდა ცნობები ფაქტიურად არ მოდიოდა, ამიტომ ზუსტად არ ვიცოდით, სწორი იყო თუ არა ხმა, რომელიც დაირხა თბილისში — ლეილამ პირველი ადგილი დაიკავაო.

საბედნიეროდ გუშინწინ ღამე ოკლენდს ტელეფონით დაუკავშირდა ლეილას ოჯახი და სასიამოვნო ცნობაც პირველწყაროდან მივიღეთ. სტარტზე წარმატების შემდეგ ქართველ ჩოგბურთელს სერიოზული მეტოქე ჰყავდა მეოთხედფინალში ბელგიელი ვასერმანის სახით (ეს ის ჩოგბურთელი გახლავთ, რომელმაც ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეორე წრეში ნატალია ზვერევას მოუგო). მესხმა ორთაბრძოლა დიდი აღმავლობით ჩაატარა და დაამარცხა მეტოქე — 6:0, 6:2.

ნახევარფინალში ქართველი სპორტსმენის მეტოქე იყო ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი რობინ უაიტი. სხვათა შორის ისინი ადრე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ყველა ბრძოლა ამერიკელს ჰქონდა მოგებული. ამჯერად გამარჯვება ლეილას დარჩა (6:4, 6:2) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე იყო ბელგიელი აბელმანი. ეს შეხვედრაც ჩვენმა თანამემამულემ იოლად მოიგო (6:2, 6:0) და ახალი ზელანდიის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

ბრძოლის დამთავრებიდან ნახევარი საათის შემდეგ ქართველი ჩოგბურთელი ხელმეორედ გამოიძახეს კორტზე ნატალია მედვედიევასთან ერთად წყვილთა ტურნირის ფინალში საასპარეზოდ. ამჯერად საბჭოთა დუეტის მეტოქეები იყვნენ ამერიკელი ჩოგბურთელები ჰერინგტონი და უაიტი. გამარჯვება სამ პარტიაში მესხი—მედვედიევას წყვილს დარჩა (მესამე გადამწყვეტი პარტია ჩვენებმა მოიგეს 7:6).

ვუსურვებთ შესანიშნავ ქართველ ჩოგბურთელს ორმაგ გამარჯვებას ამ პრესტიჟულ ტურნირში — ახალი ზელანდიის ღია ჩემპიონატში.



დავით კაჭარავა — მოსკოვის ჩემპიონი

ამ ბოლო დროს საქართველოს ჩოგბურთელები წარმატებით გამოდიან საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში. ამჯერად სასიამოვნო ცნობა მოსკოვიდან მივიღეთ. დედაქალაქის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა დავით კაჭარავამ. ერთეულების ფინალში მან დაამარცხა ი. ოგოროდოვი — 6:2, 6:3 და მოსკოვის ღია ჩემპიონატის მთავარი ლაურეატი გახდა.

დიდი ტალანტის პატივსაცემად

— **თამაშის** ასეთი სტილი სხვა არ მინახავს, ბორის პაიჭაძე განუმეორებელია. იგი მხოლოდ ქართველ ფეხბურთის მოყვარულთა კერპი კი არ იყო, არამედ, მერწმუნეთ, მთელი ჩვენი ქვეყნისაც. დაე, დღევანდელი ასეთი თბილი იუბილე შემდეგაც გამეორებულიყოს, შანამდე კი საჩუქრად მიიღეთ „ადიდასის“ ეს კოსტიუმი. ივარჯიშეთ, რათა სულ ასეთ ფორმაში იყოთ. — ასეთი იყო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გავრილ კაჩალინის გამოსვლა.

ბორის პაიჭაძის თანაგუნდელები — ძველი და ახალი თაობის დინამოელები, მისი მეგობრები, თაყვანისმცემლები შეიკრიბენ 3 თებერვალს თბილისის „დინამოს“ სტადიონის კლუბში გამოჩენილი ფეხბურთელის დაბადების 75 წლისთავზე. ვის არ უნდოდა მისალმებოდა ძვირფას იუბილარს: ჩვენი სპორტის ცნობილ ვეტერანებს ნოდარ ჯორჯიკიას და ვაჟა ყლენტს, დავით ყიფიანსა და ალიოშა კოტრიკაძეს, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ოდიშვილს, „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის დირექტორს ომარ უშვერიძეს და ამავე სკოლის აღსაზრდელს, 12 წლის დათო მუჯირს, ტელეჟურნალისტ მერაბ ბერაძეს, „დინამოს“ სტადიონის თანამშრომელმა ნადია ჩიტაძემ საკუთარი ლექსი უძღვნა „ფეხბურთის კარუშოს“. გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნება ბორის პაიჭაძის და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის მუზეუმის დაარსება.

სახელგანთქმულ ფეხურთელს მიესალმნენ და შეხვედრაზე თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა კოტე მაკარიძემ, ირინე ირემაშვილმა და დათო მჭედლიძემ (ვოკალური ტრიო), ავტორმა-პაროდისტმა გურამ გეგეჭკორმა, ვოკალურმა ტრიომ „თბილისმა“, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, სპორტულმა კომენტატორმა კოტე მახარაძემ. რომელსაც ჩვეული ოსტატობით მიჰყავდა ეს „საფეხბურთო კაფე“.

მაგრამ ყოველივე ეს, შეიძლება „უვერტიურად“ ჩაითვალოს, ვინაიდან სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის პაიჭაძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ოფიციალური იუბილე, როგორც ცნობილია, მოგვიანებით, მაისის მესამე დეკადისთვისაა დანიშნული.

ოთარ ოთარაშვილი.

ცხადია, გამარჯვებით

წლევანდელი სპორტული სეზონი დაიწყო ნინო სალუქვაძემაც. იგი ლვოვში მიმდინარე საკავშირო პირველობაში ჩაება და ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველი „ოქრო“ თბილისელმა მსროლელმა მპ-5 ვარჯიშში, პირად პირველობაში დაიმსახურა (587+98), ხოლო მეორე — გუნდთან, პროფკავშირების საკავშირო ნაკრებთან ერთად (ნინო ახლა „შევარდენის“ წევრია).

ამავე დროს ამ ნაკრებმა საკავშირო რეკორდი დაამყარა. ბრინჯაოს მედალი კი მას პპ-2 ვარჯიშში ხვდა წილად.

იქვე მესამე ადგილი მოიპოვა ქუთაისელმა მსროლელმა ილია ჩაგანავამ („დინამო“), რომელიც „გაქცეულ ტახზე“ სროლაში ასპარეზობდა.



რატომ არ გაიმართა საკავშირო ტურნირი?

30 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით თბილისში უნდა ჩატარებულიყო ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე. სამწუხაროდ, თბილისს მხოლოდ პოლონელები ეწვივნენ. სხვა გუნდებს შეეშინდათ ჩვენთან ჩამოსვლისა. ამის მიზეზი ჩვენდამი „კეთილგანწყობილი“ საკავშირო მახსობრივი ინფორმაციის წყაროებია, რომლებიც აზერბაიჯანსა და ხომხეთს შორის კონფლიქტში საქართველოსაც „აყოლებენ“ და რატომღაც ყოველთვის დაყენებით აცხადებენ, რომ ეს უველაფერი ამიერკავკასიაში ხდება. ამიერკავკასიაში კი, მკითხველს კარგად მოეხსენება, საქართველოც შედის, როგორც ჩანს, ჩვენს „კეთილის მხურველებს“ თავის დროზე ან გეოგრაფია არ უსწავლიათ, ან, რაც უფრო სარწმუნოა, იმდენად უნდათ საქართველოში მსგავსი სიტუაცია იყოს, ერთი ცნობილი ლექსის პერიფრაზას რომ მივმართოთ... ვამბობთ აზერბაიჯანსა და ხომხეთს, ვგულისხმობთ საქართველოს. თორემ ერთი სიტყვის მაგივრად ორის წარმოთქმა, ვფიქრობთ, დიდ სიძნელეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.

...პლუს რვა მედალი

თბილისის არმიის სპორტკლუბს ძიუდოისტ გოგონათა ძლიერი გუნდი ჰყავს. ეს დადასტურდა ლენინგრადში გამართულ საკავშირო პირველობაზე, სადაც თბილისის აკ-ს წარმომადგენლებმა გუნდური პირველობა მოიგეს (1972-1974 წლებში დაბადებულთა შორის).

პირად შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდის წევრებმა სამი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა ნინო მარჯანიშვილი—მძიმე წონასა და აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებისთვის. 56 კგ წონაში უძლიერესი იყო ელენე კელიხაშვილი.

მეორე ადგილები დაიკავეს ნინო ქუცნიაშვილმა (მძიმე წონა) და ნანა სუბელიანმა (72 კგ), მესამე — ლუდმილა მხითაროვამ (66), მაია გოგბეჯიშვილმა (61) და ისევ ნ. სუბელიანმა (აბსოლუტური პირველობა).

ბანვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს

მცირეოდენი წვლილის შეტანის მიზნით

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ახალი კონცეფციის სრულყოფაში მცირეოდენი წვლილის შეტანის ცდის მიზნით მსურს გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრებანი.

დავიწყებ სათაურიდან. იგი უნდა იკითხებოდეს ასე: „რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების კონცეფციის პროექტი". სიტყვები: „მასობრიობა" და „გაჯანსაღება" სათაურიდან უნდა ამოვიღოთ, რადგან ფიზკულტურისა და სპორტს, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალებებს, სხვა მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტაც აკისრია.

კონცეფციის პირველ განაყოფში (ორგანიზებული მუშაობის მიმართულებანი); მე-3 პუნქტში, ჩემი აზრით, უნდა ჩაემატოს შემდეგი მოსაზრებები: პირველი — „ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამინისტროს შექმნის საკითხი"; მეორე — „პროფესიული სპორტის აღიარებისა და დამკვიდრების საკითხი". თუ აღნიშნული საკითხები არ გადაწყდა, ვფიქრობთ, რომ ფიზკულტურა და სპორტი ისევ ძველებური გზით ივლის.

ადამიანის ონთოგენეზის კანონზომიერებებიდან გამომდინარე ბაგა-ბაღების დღის რეჟიმში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხს მეტი დრო უნდა დაეთმოს, კიდრე სხვა მხარეებს. ამ ასაკის ბავშვებისთვის ფიზკულტურის გაკვეთილებისთვის ძალზე ცოტა დროა გამოყოფილი. ამიტომ კონცეფციის სკოლამდელი დაწესებულების ქვეგანაყოფში მითითებული უნდა იყოს ბაგა-ბაღებში ბავშვთა ფიზიკური მომზადებისთვის ახალი გაზრდილი კვირეული საათების რაოდენობა, ჩემი აზრით იგი 6 საათზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ახალ დოკუმენტში რატომღაც კონკრეტულად არ არის მოხსენიებული ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლები. სპორტსმენთა სამჭედლოდ ცნობილ ამ სასწავლებლების გამრავლებისა და უკუგების კოეფიციენტის ამაღლების მიზნით ვფიქრობ უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გაიზარდოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლების ქსელი და მოსწავლეთა კონტინგენტი;

ბ) ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლებში მაპროფილებელი და მშობლიური ენა-ლიტერატურის გარდა სხვა საგნები ფაკულტეტური გახდეს და საჭიროების შემთხვევაში მათი რაოდენობაც შემცირდეს;

გ) ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლების მოსწავლეთა მომზადების პროგრამაში 60 პროცენტი დაეთმოს პრაქტიკული მეცადინეობის საგნებს, ხოლო 40 — თეორიული განათლების საგნებს;

დ) დაჩქარდეს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლების საკუთარი სპორტული ბაზებით უზრუნველყოფა;

ე) ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლებში გაიხსნას ეროვნული სპორტის სახეობების სექტორი.

კონცეფციის III მიმართულების ე) ქვეგანაყოფში ჩაემატოს ასეთი წინადადება: „გაფართოვდეს ყველა ტიპის სპორტული სკოლების ქსელი და პროფილის მისადაგებით გაიხსნას ეროვნული სპორტის სახეობების სექტორი". ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის გადაუწყვეტავად შეუძლებელი გახდება კლასიკური და ეროვნული სპორტის განვითარების სინქრონიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი თითქმის უკუგების შედეგებით იგეგმება და ფასდება, კონცეფციაში არაფერია თქმული ისეთი სპორტის სახეობების ნაკრები გუნდების ფუნქციონირებაზე, რომლებიც ზარალის გარდა არაფერს იძლევიან. ამ საკითხის ირგვლივ კონცეფციაში აზრი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „ტრადიციულად დაბალი კონკურენტუნარიანი და უპერსპექტივო რესპუბლიკური ნაკრები გუნდები მინიმუმამდე შემცირდეს".

კონცეფციაში უნდა შევიტანოთ, აგრეთვე, ასეთი მოსაზრებაც: „შეკრებებში და შეჯიბრებებში მონაწილეებთან კვების ტალონების ნაცვლად დაწესდეს ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფორმა". ჩვენი შეხედულებით მხოლოდ ამ გზით აღმოიფხვრება ტალონების გადახურდავების მავნე პრაქტიკა, რომლის შედეგადაც მომხმარებელს სულ მცირე 40 პროცენტი ეკარგება. ამით სპორტსმენი ზარალობს, ვაჭრობის მუშაკი კი სარგებლობს.

ნამდვილი მუშა-მოსამსახურე თავის ძირითად საქმეს სპორტს ვერ შეუთავსებს. აქედან გამომდინარე კონცეფციის V განაყოფის დასათაურებიდან სიტყვა სპორტი უნდა ამოვიღოთ (ყოველ შემთხვევაში ეს მოსაზრება ჩვენში მოყვარულთა სპორტის აღიარება-დამკვიდრებამდე ძალაში უნდა დარჩეს).

უნდა შეიცვალოს არსებული ნორმატიული მოთხოვნები წარმოება-დაწესებულებებში ფიზკულტურის მეთოდისტის საშტატო ერთეულის დაშვების შესახებ. ამიტომ კონცეფციის V განაყოფის მე-5 პუნქტი უნდა იკითხებოდეს ასე: „იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 50-ს აღემატება, დაშვებული იქნას ფიზკულტურის მეთოდისტის საშტატო ერთეული".

ძველი ნორმატიული მოთხოვნების მიხედვით გამოდის, რომ მცირერიცხოვანი წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს ფიზკულტურა არ სჭირდებათ. ჩვენი აზრით, ეს სოციალურ უსამართლობადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ფიზკულტურის სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების ტრადიციული ერთობლივი ძალისხმევით. ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარე მთლიანად ვეთანხმები ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ აკაკი დოკვაძის მოსაზრებებს (რომელიც გამოქვეყნდა 1990 წლის 14 იანვრის „ლელოში") კონცეფციის III განაყოფის მე-3 პუნქტის, IX განაყოფის მე-4 დან მე-8 ჩათვლით და მე-14 პუნქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კონცეფციის IX განაყოფის პირველი პუნქტი ასე უნდა იკითხებოდეს: „გაფართოვდეს სამეცნიერო კვლევითი მუშაობა სპორტსმენთა ეტაპობრივი შერჩევის, ინდივიდუალური წვრთნის ოპტიმიზაციის, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების, სპორტსმენთა გაწვრთნილობის ტესტირების, ტექნიკური შედეგების პროგნოზირების და რეაბილიტაციის ეფექტური საშუალებების დანერგვა-ძიების საქმეში". ვფიქრობ, ამ საქმეში პასუხისმგებლობა დაეკისროს აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტსაც.

X განაყოფის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე პასუხისმგებლობა მოეხსნას ფიზკულტურის სამეცნიერო ინსტიტუტს, რადგან სათანადო კადრი და ტექნიკური აღჭურვილობა მას არ გააჩნია და იგი, ჩემი აზრით, უნდა დაეკისროს ფიზკულტურის ინსტიტუტს.

იმავე განაყოფში დაემატოს ასეთი მოსაზრებაც: „იმ სპორტსკოლებთან, რომლის ბაზებზეც მზადდება რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, შეიქმნას სამედიცინო-ბიოლოგიური კაბინეტები და დაევალოთ ოპერატიული და მიმდინარე კონტროლი". ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა დაეკისროთ საქართველოს სპორტსახკომს და ჯანმრთელობის სამინისტროს.

კონცეფციის X განაყოფში, ვფიქრობთ, შესატანია ასეთი წინადადებაც: „დამკვიდრდეს და სრულქმნას ყველა ასაკის რესპუბლიკური ნაკრები გუნდების ეტაპური კომპლექსური გამოკვლევა (საქართველოს სპორტსახკომი, ფიზკულტურის სამეცნიერო-ინსტიტუტი). აქვე უნდა დაემატოს, აგრეთვე ასეთი მოსაზრებაც: „განხილული იქნას საკითხი ყველა ასაკის რესპუბლიკური ნაკრები გუნდების კანდიდატების მომზადებაზე სამედიცინო-ბიოლოგიური და ფსიქო-პედაგოგიური კონტროლის ერთიანი საკოორდინაციო ორგანოს შექმნის შესახებ".

ავთანდილ ჩუთლაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

საქართველოს პირველობა და თასის გათამაშება ბატუტზე ხტომაში

ეკონომია — საქართველოს ჩემპიონატით

ეკონომიკური კრიზისი სპორტსაც მისწვდა. ქვეყანას რომ უჭირს, ხელგაშლილ ცხოვრებას ვერავის მოსთხოვ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატების ხარჯზე ეკონომიის გაკეთება, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, მით უმეტეს ახლა, როდესაც ერის გამოღვიძებისა და თვითშეგნების ამ-

რუსუდან ხოფერია.

აღლებას ესოდენ ყურადღება ექცევა.

დღეს პრინციპული ხასიათი მიიღო აღნიშნული შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებამ, თორემ ისე ხდებოდა, რომ საქართველოს ჩემპიონატები ვალის მოსახდელ შეჯიბრებად, ხშირად კი ახალბედების გამოსაცდელ სარბიელად იქცეოდა ხოლმე. მასში მონაწილეობას ტიტულოვანი სპორტსმენები ერთგვარად ღირსების შელახვად თვლიდნენ.

ამ საკითხს იმიტომ შევეხეთ, რომ შარშან ბატუტზე მხტომელთა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისას ძაინცდამაინც ჩემპიონატს შეელივნენ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ შარშანდელი სექტემბრის შედეგ (ახლახან ვიტებსკში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი) ჩვენს ბატუტზე მხტომელებს არც ერთ შეჯიბრებაში არ მიუღიათ მონაწილეობა. ამან კი საგრძნობლად იმოქმედა მათ სპორტულ ფორმაზე. ამაში დაგვარწმუნა დონსაფის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტულ დარბაზში ჩატარებულმა საქართველოს პირველობამ და თასის გათამაშებამ, სადაც სპორტსმენები „ნორმაზე" მეტ შეცდომებს უშვებდნენ.

თენგიზ ხუდოევი საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი:

— სპორტსმენს სჭირდება სტიმული — კონკრეტული მიზანი. როდესაც იგი თავისი მომზადების „პიკს" მიაღწევს, ეს შეჯიბრებაში უნდა აჩვენოს. საჭიროა გამოინახოს გზები, რათა ბატუტზე მხტომელებს შეჯიბრებები არ დავაკლოთ, მით უფრო, რომ სპორტის ამ სახეობის ქართულმა სკოლამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. კარგი იქნება თუ გამოინახება ისეთი სპონსორი, რომელსაც წელიწადში რამდენიმე ათასი მანეთის გაღება არ გაუჭირდება. ახლა კი თვით ასპარეზობის შესახებ:

ქალთა სინქრონულ ხტომებში ოთხი წელია დიდი უპირატესობით იმარჯვებენ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრები ანა დოღონაძე და ლია ბენდიანიშვილი. წელს პირველად ეს „ტრადიცია" დაირღვა — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ შედარებით ახალბედები, ქუთაისელი ლელა გიგინეიშვილი (იგი თბილისში ვარჯიშობს) და თბილისელი ნინო არღანაშვილი. საქმე ისაა, რომ ბენდიანიშვილმა ტრავმის გამო შეჯიბრებაზე გამოსვლა ვერ შეძლო. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს თამარ სუსუნიაშვილ-ირინა მიხაილოვა და მადლენ ვეკუა-ანა პოგონიას (ყველა—თბილისი) წყვილებმა.

მიხეილ ნიკოლაიშვილი (მარცხნივ) და ზაალ ხიზანიშვილი.

ვაჟებში საქართველოს თასს დაეუფლნენ ზაალ ხიზანიშვილი და მიხეილ ნიკოლაიშვილი. მათ სამ ქულაზე მეტით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ მერაბ სუპატაშვილს და ზაქარია აბრამიშვილს, რომლებმაც, თავის მხრივ, საგრძნობლად (2,7 ქულა) ჩამოიტოვეს მესამე პრიზიორები რემიკ პოღოსიანი და კახაბერ გობრონიძე (ყველა—თბილისი).

ინდივიდუალურ ხტომებში თითქმის თანაბარი ბრძოლა გაიმართა მსოფლიო ჩემპიონ რუსუდან ხოფერიასა და ევროპის ჩემპიონ (ახალგაზრდებში) ანა დოღონაძეს შორის. პირველ დღეს მათ თანაბარი ქულები (61,9) მოაგროვეს. ბოლო სამ გამოსვლაში რუსუდანმა ორჯერ გაიმარჯვა და საერთო ჯამში საქართველოს თასი მოიპოვა. მესამე ადგილზე ლელა გიგინეიშვილი გავიდა.

ვაჟებში ფავორიტად ითვლებოდა თასის შარშანდელი მფლობელი ზაქარია აბრამიშვილი, მაგრამ მეორე დღეს იგი ბატუტიდან ჩამოვარდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. გაიმარჯვა ზაალ ხიზანიშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა მიხეილ ნიკოლაიშვილი, მესამეზე — რამიკ პოღოსიანი (სამივე — თბილისი).

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I. თბილისი; II. ქუთაისი; III. აფხაზეთი; IV. აჭარა; V. თბილისი-II (უკონკურსოდ).

საქართველოს თასის გათამაშებამ კვლავ გვიჩვენა, რომ გუნდებს შორის თანაფარდობა არ შეცვლილა. თბილისელთა გარდა საქართველოს ნაკრებს შევსებას მხოლოდ ქუთაისი აძლევს. აღსანიშნავია, რომ იქაური მწვრთნელის ვალერი ჩხაბერიძის ორივე აღზრდილმა — ლელა გიგინეიშვილმა და მერაბ სუპატაშვილმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა (მათ გარდა ეს ნორმატივი შეასრულა ოთხმა თბილისელმა სპორტსმენმა). გაურკვეველი მიზეზის გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ რუსთაველი სპორტსმენები (მწვრთნელი სერგო ხიჯაკაძე), რამაც ბატუტის ისედაც ვიწრო „გეოგრაფია" უფრო შეამცირა (შეჯიბრებაში ხომ სულ ოთხი რეგიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ). სასიხარულოა, რომ სარბიელზე ვიხილეთ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების „შევარდენის" წარმომადგენლები (მწვრთნელი იგორ ჩერნიავსკი). ბატუტისტთა ეს ჯგუფი რამდენიმე თვეა რაც ამოქმედდა, მათმა წარმომადგენლებმა ზაზა გუზიტაშვილმა სპორტის ოსტატობის კანდიდატებს შორის მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო სინქრონულ ხტომებში (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) მერაბ სუპატაშვილი მეორე ადგილზე გავიდა.

ლელა გიგინეიშვილი (მარცხნივ) და ნინო არღანაშვილი.

ჯემალ კასრაძე.

ავტორის ფოტოები.

პასუხი „ლელოს" ——— ——— ქმედითობა

„ვგეგმავთ და ვგეგმავთ..."

თბილისის სპორტკომიტეტის მორიგ სხდომაზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად განვიხილეთ „ლელოს" 6 და 7 იანვრის ნომრებში ამ სათაურით გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო თბილისის რაიონების სკოლები, კერძოდ, I მაისის სახელობის რაიონის მე-18, მე-100 და 27-ე საშუალო სკოლები; 26 კომისრების რაიონის 85-ე, 99-ე და 111-ე საშუალო სკოლები, კალინინის რაიონის მე-3 ექსპერიმენტალური და 48-ე საშუალო სკოლები.

კრიტიკა სამართლიანი იყო. სამართლიანი იყო აგრეთვე როგორც ქალაქის სპორტკომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მ. თარხნიშვილის, ასევე ქალაქის განათლების სამმართველოს სპორტული განყოფილების მისამართით გამოთქმული კრიტიკაც.

8 იანვარს გამოიცა კომიტეტის ბრძანება, რომლის საფუძველზე ათივე რაიონზე მიმაგრებული იყვნენ როგორც კომიტეტის ინსტრუქტორები, ასევე რაიონული სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები. აღნიშნული ბრძანებით ქალაქის განათლების სამმართველოს ფიზაღზრდის განყოფილების გამგეს კ. ჩხაიძეს დაევალა პირველსავე საბჭოს სხდომაზე განეხილა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ჩაშალეს ღონისძიებები.

თბილისის განათლების სამმართველომ 1990 წლის 9 იანვარს იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დავალება მიეცათ რაიონულ განყოფილებათა გამგეებს, რომლებმაც თავიანთ საბჭოს სხდომებზე იმსჯელეს ღონისძიებათა ჩაშლაში დამნაშავე პირთა მიმართ.

მივიღეთ დადგენილება, რომ ეთხოვოს თბილისის განათლების სამმართველოს (მ. მინდაძე) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა შემდგომში ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო და რაიონული სპორტსკოლების მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში უფრო ხერიოზულად მოეკიდონ სპორტულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და ჩატარების საქმეს; ქალაქის განათლების სამმართველოს სპორტული განყოფილების გამგეს კ. ჩხაიძეს რიგ სპორტულ ღონისძიებათა ჩაშლისათვის მიეთითოს;

აღნიშნული შეჯიბრების კონტროლის გაუთვალისწინებლობისთვის, რამაც ღონისძიებების ჩაშლა გამოიწვია, ქალაქის სპორტკომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგეს მ. თარხნიშვილს გამოეცხადოს საყვედური.

ვ. კანკავა,
თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

რას მოგვიტანს გაზაფხული?

თბილისი „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი, როგორც ცნობილია, წინასასეზონო მზადებას საზღვარგარეთ გადიოდა. ჩვენი გუნდის მიერ ჩატარებული მატჩების შესახებ საფრანგეთსა და შვეიცარიაში უკვე ვწერდით, ამის შემდეგ თბილისელებმა საწვრთნელი ციკლი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განაგრძეს, 3 თებერვალს კი შინ დაბრუნდნენ, სადაც მზადების ერთ-ერთ, დასკვნით ეტაპს განაგრძობენ. მორიგი ვარჯიშის შემდეგ შევხვდით თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს დავით ყიფიანს, რომელმაც მოგვითხრო განვლილ მზადებაზე.

— გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მასპინძლებმა, ჩინებული საწვრთნელი ბაზა დაგვითმეს შტუტგარტთან ახლოს, პატარა ქალაქ რიუდში, სადაც ყველა პირობა გვქონდა შექმნილი ნაყოფიერი წვრთნისა და დასვენებისთვის. საწვრთნელი მატჩები, რომლებიც ჩვენმა გუნდმა გამართა, რიუდთან სულ რაღაც 20-30 კილომეტრზე მდებარე ქალაქებში იყო დანიშნული, რამაც თავიდან აგვაცილა დამქანცველი მგზავრობა. აქ ხუთი მატჩი ჩავატარეთ, აქედან ორი მოვიგეთ, ორში დავმარცხდით და ერთი მატჩიც ფრედ დავამთავრეთ. ამ ეტაპზეც ჩვენი პირველი საზარუნავი გუნდის საბოლოო დაკომპლექტება იყო და არა გამარჯვებაზე ფიქრი, თანაც აქ გამართული ამ ხუთი მატჩის შემდეგ, შეხვედრის წინაც და მას შემდეგაც ყოველთვის საწვრთნელი ვარჯიშები გვქონდა დანიშნული, რათა არ დარღვეულიყო ის მზადების ციკლი, რომელიც დაგეგმილი გვქონდა.

● **თუ შეიძლება პარალელის გავლება წინა, 1989 წლის მოსამზადებელ პერიოდთან და გუნდის დღევანდელ მზადებასთან, უკეთ ხვდება, თუ არა „დინამო“ მომავალ სეზონს?**

— დინამოელთა დღევანდელ საწვრთნელ ვარჯიშს, თქვენ ალბათ პირველი დღეებიდანვე ადევნებთ თვალს და რაღაც გარკვეული შთაბეჭდილება მისი დღევანდელი მიზადების დონეზე უკვე შეგექმნებოდათ. ფეხბურთელები ყველაფერს კეთილსინდისიერად აკეთებენ, ძალას არ ზოგავენ უკეთ მომზადებისათვის. როგორც უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს, ამ ეტაპზე პრობლემები ჩვენც გვაქვს. ნაკრებში მიიწვიეს ჩვენი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები, ტრამვირებულებიც საკმაოდ გვყავს, ამიტომაც გუნდთან დღეს ვერ ვარჯიშობენ ჭედია, ჯიშკარიანი, კაჭარავა, არზანი. კეტაშვილი კი, რომელიც პირველი ნაკრების კანდიდატია, საფრანგეთში მიღებული ტრავმის გამო, რამდენიმე დღეში განაახლებს წვრთნას. მხოლოდ 25 თებერვალს შეუერთდება კოლექტივს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ორი მოთამაშე — ცხადაძე და რევიშვილი. მიუხედავად ზემოთ მოყვანილი პრობლემებისა, ერთი დეტალის აღნიშვნა მომზადების ამ ეტაპზე, მაინც შეგვიძლია: წინა წელთან შედარებით, ჩვენი აზრით, გამოკვეთილად ჩანს ის ძირითადი შემადგენლობის ბირთვი, რომლის კისერზეც უნდა გადაიაროს 1990 წლის საფეხბურთო სეზონმა. ეს კი გუნდის საბოლოო შემადგენლობის დასაზუსტებლად ცოტას არ ნიშნავს. მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც ცდას არ ვაკლებთ, რომ მომავალი სეზონი თბილისის „დინამომ“ უკეთ ჩაატაროს, თუმცა, ზუსტ პასუხს იმის შესახებ თუ როგორ არის მომზადებული თბილისის „დინამო“, საკავშირო ჩემპიონატის პირველივე შეხვედრები გაგვცემს.

● **ტრადიციული კითხვა: რა ცვლილებებია გუნდში?**

— ცვლილებები უმნიშვნელოა. თბილისის „დინამო“ დატოვა ბახვა თედეევმა, რომელიც ახალ სეზონს ალბათ ორჯონიკიძის „სპარტაკში“ ჩაატარებს, გუნდიდან წავიდნენ თეთრაძე და მაჭავარიანიც. დღემდე არ უვარჯიშია გუნდთან ბიგვავას, რომელიც შარშან ბათუმის „დინამოში“ გამოდიოდა. ეს თანხა საფეხბურთო ფონდის მეშვეობით გადავიხადოთ, თუმცა ამ ფონდს სხვა დანიშნულება აქვს, კერძოდ, საერთო თანხიდან 4 მილიონი გარვანქა სტერლინგი ასიგნებულია იმ სტადიონების გადასაკეთებლად, სადაც ფეხზე სადგომი ადგილები დასაჯდომით უნდა შეიცვალოს. ასე რომ, ინგლისის საფეხბურთო ფონდი გათვალისწინებულია სტადიონების კეთილმოსაწყობად და პოლიციური ზედამხედველობისთვის მას, ალბათ, არ გაიმეტებენ.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის პროფესიულ ფეხბურთში ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მაგრამ, ეტყობა. ექსპერიმენტმა არ გაამართლა. ამიტომაც საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა, 1990-91 წლების ეროვნული ჩემპიონატი კვლავ 18 კლუბის შემადგენლობით ჩაატაროს, ხოლო გამარჯვებისთვის გუნდებს, ისევე როგორც უწინ, 2 ქულა დაეწეროთ.



ცნობილი დასავლეთგერმანული სპორტული ფირმა „ადიდასის“ ინიციატივით გამოვლინდნენ 1989 წლის ევროპის საუკეთესო საფეხბურთო არბიტრები. პირველ ადგილზეა ფრანგი მიშელ ვოტრო (92 ხმა), მომდევნო ადგილებზე არიან იტალიელი ლუიჯი ანიოლო (47) და შვედი ერიკ ფრედრიქსონი (26).

გულგარეთში გადაწყდა, რომ ამ ქვეყნის პირველი და მეორე ლიგების საფეხბურთო კლუბები ჩამოაყალიბებენ საფეხბურთო პროფკავშირს. ახალი პროფკავშირის დამფუძნებელი კონფერენცია შედგება 15 თებერვალს.

ესაუბრა ზაზა ქახაძე.

საერთაშორისო ფეხბურთი:

დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, რომელიც მექსიკაში გადის წინასაგაბონო სამზადისს, ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 5:0.

მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ავსტრალიაში ზედიზედ 4 ამხანაგური მატჩი მოიგეს, მაგრამ დიდი ანგარიშით მარცხი განიცადეს ამ ქვეყნის ნაკრებთან შეხვედრაში — 0:3.

იტალია. გაიმართა ამ ქვეყნის საფეხბურთო თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრები. ტურინის „იუვენტუსმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცა „რომა“, ხოლო „მილანისა“ და „ნაპოლის“ შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0. საპასუხო მატჩები გაიმართება 14 თებერვალს.

ინგლისი. „ლივერპულის“ ფეხბურთელებმა ინგლისის თასის მერვეფინალის განმეორებით მატჩში ანგარიშთ 3:1 დაამარცხეს „ნორვიჩი“. განმეორებითი მატჩი შედგა, აგრეთვე, „არსენალსა“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ შორის. გაიმარჯვა „არსენალმა“ — 2:0.

ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან „ნოტინგემ ფორესტი“ — „კოვენტრი“ და „ოლდ-ჰემი“ — „ვესტ-ჰემი“.

ინგლისის პოლიციურმა ხელმძღვანელობამ თავის საფეხბურთო ასოციაციას 100 ათასი გირვანქა სტერლინგის (160 ათასი დოლარი) ოფიციალური აქტი წარუდგინა. ასეთ თანხად შეფასდა ინგლისის პოლიციის რაზმების სამსახური, რომელსაც ასოციაციამ შესთავაზა თან გაჰყვეს ხულიგნობით საყოველთაოდ ცნობილ გულშემატკივრებს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე.

პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მთავრობა კაპიკსაც არ გაიღებს ხულიგან გულშემატკივართა ასალაგმავად, მან თქვა, რომ პრობლემა „წმინდა საფეხბურთო ხულიგანიზმია“, ამიტომაც მის წინააღმდეგ სწორედ საფეხბურთო ხელმძღვანელობამ უნდა იბრძოლოს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელმა გ. კელიმ განაცხადა: „იძულებული ვიქნებით, ამ ფონდს სხვა დანიშნულება აქვს, კერძოდ, საერთო თანხიდან 4 მილიონი გარვანქა სტერლინგი ასიგნებულია იმ სტადიონების გადასაკეთებლად, სადაც ფეხზე სადგომი ადგილები დასაჯდომით უნდა შეიცვალოს. ასე რომ, ინგლისის საფეხბურთო ფონდი გათვალისწინებულია სტადიონების კეთილმოსაწყობად და პოლიციური ზედამხედველობისთვის მას, ალბათ, არ გაიმეტებენ.

საბჭოთა ფეხბურთელები ემზადებიან

საბჭოთა ფეხბურთელთა პირველი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის მზადებას იტალიაში გადის. 3 თებერვალს იგი ქალაქ ჩოკოში ამხანაგურ მატჩში შეხვდა შვეიცარიის საკლუბო გუნდს „ნოიშატელ ქსამაქსს“. მეორე ტაიმში, როცა ანგარიში იყო 2:1 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ, მსაჯი იძულებული იყო თამაში შეეწყვიტა ძლიერი ნისლის გამო.

საბჭოთა ფეხბურთელები იტალიაში 15 თებერვლამდე დაჰყოფენ, აქ შეხვდებიან ცნობილ გუნდებს — მილანის „ინტერს“, გენუის „სამპდორიას“, რომის „ლაციოს“ და ტურინის „ტორინოს“. იტალიის სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა გუნდი ახლა ინტენსიურად ემზადება, ვინაიდან შარშანდელი ნოემბრის შემდეგ საერთაშორისო შეხვედრები არა ჰქონია. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ახლანდელი შეკრების გრაფიკი ერთობ მჭიდრო და დატვირთულია, ფეხბურთელებმა რაც შეიძლება მალე უნდა მიაღწიონ საჭირო სპორტულ ფორმას.

როგორც იტალიური გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავს, ვ. ლობანოვსკიმ გააკრიტიკა ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა, რომელმაც კლუბში მიიწვია საბჭოთა ფეხბურთელები ალექსანდრე ზავაროვი და სერგეი ალეინიკოვი, მაგრამ, ეტყობა, ეს მიწვევა სარეკლამო მოსაზრებებით იყო განპირობებული, ვინაიდან ვერც ა. ზავაროვს და ვერც ს. ალეინიკოვს სწორი ადგილი ვერ შეურჩიეს მინდორზე.

— აიღეთ, მაგალითად, ზავაროვი. — განაცხადა მწვრთნელმა. — ჩვენს გუნდში იგი წმინდა ბომბარდირად არასოდეს ითვლებოდა, ვინაიდან ზავაროვი უნივერსალური ფეხბურთელია, შეუძლია მთელ მინდორზე თამაში და კოლექტიურ მოქმედებათა ორგანიზატორიცაა, „იუვენტუსში“ კი მას მხოლოდ ბომბარდირის ფუნქციები ევალება. ეს სეროიზული შეცდომაა. ყოველი მწვრთნელი, როცა გუნდში უცხოელ ფეხბურთელს იწვევს, ვალდებულია შეისწავლოს მისი თამაშის მანერა და ტექნიკური თავისებურებანი.

ვ. ლობანოვსკის აზრით იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში რიგი მნიშვნელოვანი ტაქტიკურ-ტექნიკური სიახლეები მოსალოდნელი არაა, ბრაზილიელები, იტალიელები, არგენტინელები და დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები. ეტყობა. თავიანთი თამაშის მანერას არ შეცვლიან. რაც შეეხება სსრ კავშირის ნაკრებს, იგი იმ 8 გუნდს შორისაა, რომლებიც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მაღალ ადგილებზე აცხადებენ პრეტენზიას.

იტალია-90

ალჟირი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ალჟირისა და რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

ვალეტა. მალტაში სტუმრად იმყოფებიან ნორვეგიისა და სამხრეთ კორეის ნაკრები გუნდები. მათ ერთმანეთთან გამართეს საწვრთნელი შეხვედრა, გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა — 3:2.

მაიამი. აქ შედგა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი „მალბოროს თასი“. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ურუგვაისა და კოსტა-რიკის გუნდები, ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ურუგვაელებმა. მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ ამერიკისა და კოლუმბიის გუნდები. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, დამატებითი 11-მეტრიანების სერიით გაიმარჯვეს კოლუმბიელებმა — 9:8.

რუმინეთის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტია, იტალიის ქალაქ პიზაში ამხანაგური მატჩი გამართა ადგილობრივ „პიზასთან“. რუმინელმა ფეხბურთელებმა მარცხი განიცადეს — 0:3.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის მზადებას დაიწყებს თებერვლის დასასრულს, კერძოდ, 28 თებერვალს, მონპელიეში შეხვდება საფრანგეთის ნაკრებს. დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები 25 აპრილს შტუტგარტში ითამაშებენ ურუგვაელებთან. შემდეგ კი 26 მაისს დიუსელდორფში მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის გუნდს და 30 მაისს გელზენკირხენში — დანიელებს.

კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლ. ტამაიომ განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისი ამ ქვეყნის გუნდს 235 ათასი დოლარი დაუჯდება. თანხა არც თუ ისე დიდია თუ, მაგალითად, გავიხსენებთ, რომ ბრაზილიის ფედერაციას თავისი ნაკრების მომზადება დაახლოებით 3 მილიონი დოლარი დაუჯდა.

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ფინანსური მხარე დიდად აინტერესებს მაწში მონაწილე ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას. ფიფა-ს საფინანსო კომიტეტის პრეზიდენტმა ჟ. ჟორჟმა განაცხადა, რომ მისმა უწყებამ ყველა პრობლემა მოაგვარა, უკვე ახლა ფინალის მონაწილე თითოეულ გუნდს ავანსის სახით გადაეცეს 250 ათასი შვეიცარული ფრანკი, თვით შეჯიბრების მსვლელობაში ყოველი დელეგაცია დღიურად მიიღებს 10 ათას ფრანკს სხვადასხვა ხარჯისთვის და, საერთოდ, თითო მატჩში ყოველი გუნდი გარანტირებულია სულ ცოტა 650 ათასი შვეიცარული ფრანკით.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილე თითოეული გუნდი შეჯიბრების პირველი „რაუნდის“ დამთავრების შემდეგ, ჟ. ჟორჟის განცხადებით, მიიღებს 2 მილიონ 250 ათას შვეიცარულ ფრანკს. რაც შეეხება ნახევარფინალის ოთხ მონაწილეს, რომლებიც 7-7 მატჩს ჩაატარებენ, ისინი 4,5 მილიონ შვეიცარულ ფრანკს მიიღებენ.

პროფესიონალი სპორტსმენები და არაპროფესიონალი მსაჯები

იოზეფ ბლატერი — ფიფას გენერალური მდივანი საერთაშორისო ფეხბურთში — ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა. ამას წინათ ციურიხში, გაზეთ „შპორტის“ კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს მსაჯთა პროფესიონალიზმს და იბრძოლებს იმისთვის, რომ ეს სიახლე გატარდეს ცხოვრებაში.

53 წლის გენერალურმა მდივანმა საუბრისას ფეხბურთის მსაჯთა საბედისწერო შეცდომების ბევრი მაგალითი მოიყვანა. სხვათა შორის იმავე თემას მიუძღვნა საკმაოდ ვრცელი წერილი გაზეთმა „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბიუნმა“. წერილში მოყვანილია ზოგიერთი, განსაკუთრებით სკანდალური შემთხვევა. კერძოდ, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გფრ — ინგლისის მატჩში ჯეფ ჰერსტის მიერ გატანილი მესამე გოლი. მიმომხილველის აზრით, მსაჯმა ჩათვალა ბურთი, რომელიც კარის ხაზს არ იყო გადაცილებული. ჰოლანდიელებს, გაზეთის აზრით, დღესაც ახსოვთ 1974 წელს გფრ-სთან მატჩის დროს უკანონოდ დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ლაპარაკია, აგრეთვე, მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატში დიეგო მარადონას მიერ ხელით გატანილ გოლზე ინგლისელთა კარში.

ყველაფერი ეს, გაზეთის ცნობით, ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ფეხბურთის მოყვარულ მსაჯთა არაკომპეტენტურობას. როცა ყველა ამ შეცდომას ტელევიზიით განმეორებით აჩვენებენ, თვით ფეხბურთელებიცა და მაყურებლებიც თავს მოტყუებულად გრძნობენ. წერილის ავტორის აზრით, პროფესიონალიზმის საუკუნეში ფეხბურთის მსაჯები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ მოყვარულები.

ბოლო დროს ცდილობენ მსაჯობის დონის ამაღლებას, მაგრამ არაფერი გამოდის, თუმცა ფეხბურთს არა აქვს რთული წესები და ჩახლართული კანონები. გაზეთის აზრით, მსაჯები ან უბრალოდ არაკომპეტენტური არიან, ან კიდევ შეგნებულად უშვებენ შეცდომებს ამა თუ იმ გუნდის სასარგებლოდ.

ამ აზრს კატეგორიულად არ იზიარებს ცნობილი ბელგიელი არბიტრი ალექს პონეტი. იგი ყოველმხრივ ცდილობს გაამართლოს ცუდი მსაჯობა, როცა ამბობს, „ფეხბურთში ყველაფერი სრულყოფილი რომ იყოს, რაზე ილაპარაკებდა ხალხი მთელი კვირის განმავლობაში, ან რა ექნებოდათ გაზეთებს დასაწერი? თამაშს ყველაფერი უნდა ახლდეს, რაც ახასიათებთ ადამიანებს, მათ შორის არბიტრთა შეცდომებიც, ვინაიდან შეუცდომელი კაცი ბუნებას არ შეუქმნია“.

მდგომარეობიდან გამოსავალს სპეციალისტთა უმრავლესობა ხედავს მხოლოდ ერთში — არბიტრებიც ისეთივე პროფესიონალები უნდა გახდნენ როგორც ფეხბურთელები. თორემ განსხვავება მათ შორის წლიდან წლამდე იზრდება არბიტრთა საზიანოდ.

მსაჯთა შეცდომების უმეტესობა „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნის“ აზრით, მოდის თერმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების განსაზღვრისას. საქმე ისაა, რომ პროფესიონალ ფეხბურთელებს, რომლებიც ამავე დროს კარგი „მსახიობებიც“ არიან, ხშირად შეცდომაში შეჰყავთ მსაჯები და აიძულებენ მათ დანიშნონ პენალტი. მაგრამ თამაშის ჩანაწერის ნახვისას, ირკვევა, რომ სპორტსმენი სიმულიანტობდა, მსაჯმა კი ზუსტად ვერ განსაზღვრა დანაშაულის ხარისხი.

მეორე, არანაკლებ რთული პრობლემაა თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრა. ამ შემთხვევაშიც მსაჯის ყურადღება მუდამ მაქსიმალურად უნდა იყოს კონცენტრირებული მოედნის ორ ზონაში — საიდან კეთდება პასი და ვისთვის არის განკუთვნილი იგი. გაზეთი ამასთან დაკავშირებით იგონებს მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატზე ბელგიელთა მიერ საბჭოთა ნაკრების კარში აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილ გოლს.

ფეხბურთში ყველა წესი მკაცრად არის ჩამოყალიბებული, აი, მსაჯები კი მათ თავისუფალ ინტერპრეტაციას იძლევიან. ზოგჯერ ეს ძალაუნებურად ხდება, ზოგჯერ კი წინასწარგანზრახვით და აშკარად რომელიმე გუნდის სასარგებლოდ. მაშ რა მოვუხერხოთ მსაჯობას, ლაპარაკია წერილის დასასრულს. არაფერი, თვითონვე იძლევა პასუხს ავტორი, არბიტრები უნდა გახდნენ პროფესიონალები, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

უპირატესობის შენარჩუნება უნდა ვისწავლოთ

თბილისი. სპორტის სახახლე. 3 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 83:78 (53:41).

„დინამო“: ხანაძე (30), შენგელია (16), ტიუბინი (12), დაუშვილი (12), ფერიაშვილი (8), ბაქრაძე (3), დარხაძე (2), უსტიაშვილი, ვაშაკიძე.

რტი: გრიშჩუკი (21), დაინეკო (15), კრიშჩიკი (10), ჟელულოკი (10), ჟოლნეროვიჩი (9), ოლბრეხტი (6), კლემეზი (5), ჩერნიავსკი (2), ნიკოლოზი.

მსაჯები: ი. გოლინსკი (კალუგა) და ვ. შამისი (ლენინგრადი).

დუბლშემადგენლობანი — 81:76 (43:29).

ცენტრალურ პრესაში („სოვეტსკი სპორტი“, 3 თებერვალი) გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ კალათბურთის საკავშირო ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გააუქმა თბილისის „დინამოსა“ და ალმა-ათის არმიელთა 8 იანვრის მატჩის შედეგი და რომ ამ შეხვედრას აღნიშნული გუნდები ნეიტრალურ მოედანზე გადაათამაშებენ. იმის შესახებ თუ რა მოხდა იმ დღეს ბავშვთა კალათბურთის სასახლეში, „ლელომ“ თავის მკითხველებს მოუთხრო 10 იანვრის ნომერში. ჩვენ ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს საკავშირო ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის ოფიციალური გადაწყვეტილება და არ ვიცით როგორი კვალიფიკაცია მიეცა თბილისში მომხდარ ინციდენტს. სწორედ ამ მიზეზით ჯერ შესწორებები არ შეგვაქვს გათამაშების ცხრილში. ოფიციალური დოკუმენტის შინაარსს უსათუოდ გავაცნობთ მკითხველებს და ცხრილშიც სათანადო კორექტივებს შევიტანთ.

ახლა კი თბილისისა და მინსკის კალათბურთელთა განმეორებითი შეხვედრის შესახებ. მასპინძლებმა ეს მატჩიც მოიგეს და სატურნირო ცხრილში კიდევ ორი, მეტად საჭირო ქულა ჩაიწერეს. გარეგნულად ამ შეხვედრაში ყველაფერი თითქოს რიგზე იყო. „დინამომ“ მოიგო პირველი ტაიმი 12 ქულის უპირატესობით, მეორეში ერთგვარად გაფლანგა ეს უპირატესობა, მაგრამ საბოლოოდ სასურველ შედეგს მაინც მიაღწია. თუმცა ანგარიშში სხვაობა უფრო მეტიც (ან ნაკლები) შეიძლებოდა ყოფილიყო.

არაერთხელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ გუნდის ოსტატობის ერთ-ერთი მაჩვენებელი გახლავთ ის თუ როგორ, რა გზებითა და საშუალებებით ინარჩუნებს იგი თამაშის პროცესში მოპოვებულ უპირატესობას. უპირატესობა კი ამ მატჩში „დინამოს“ მართლაც ჰქონდა. პირველ ტაიმში, მაგალითად, იგი ბრძოლას 15 ქულითაც კი იგებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ერთბაშად დავთმეთ უპირატესობა და 26-ე წუთისთვის წინ უკვე სტუმრები გავიდნენ — 59:57.

აი, სწორედ ამ მომენტზე უნდა შეგაჩეროთ განსაკუთრებით თქვენი ყურადღება. „დინამო“ ამ ბოლო დროს ხშირად აუტკივარ თავს ძალით იტკივებს. უფრო სწორად თვითონვე იქმნის სირთულეებს და შემდეგ მათ დაძლევას ორჯერ უფრო მეტ ენერგიას ანდომებს. რტი მეორე ტაიმში ჩვეულებრივად იბრძოდა და შინაგანად ბედს შეგუებულიც კი იყო. მას არც რაიმე ტექტიკური სიახლისათვის მიუმართავს, რომ თამაშში გარდატეხა შეეტანა. იგი უფრო მეთვალყურის როლში გამოდიოდა, მაგრამ ერთ მომენტში დინამოელთა თამაშმა მატჩის გადარჩენის იმედი გაუღვიძა. ე. ი. ჩვენ თვითონვე, ჩვენივე ხელით ვუბოძეთ მეტოქეს სტიმული, შევმატეთ რწმენა, დავარწმუნეთ თავის ძალებში, მერე კი მისი წინააღმდეგობის დათრგუნვა გაგვიჭირდა. გაგვიჭირდა იმიტომ, რომ ჩვენვე გვქონდა რწმენა შერყეული.

...22-ე წუთი ამ შეხვედრაში ალბათ გარდატეხის წუთი იყო („დინამოს“ უპირატესობა 4 ქულამდე შემცირდა — 68:64) და ამ კრიტიკულ მომენტში თავი გამოიჩინეს ისევ ტიუბინმა და სანაძემ. მერე მდგომარეობა გამოსწორდა, დინამოელები გონს მოეგნენ და სხვაობაც საგრძნობლად გაიზარდა (77:64). მაგრამ შეხვედრის დამთავრებას ჯერ კიდევ მთელი 6 წუთი აკლდა და ეს მინი პერიოდი ჩვენმა კალათბურთელებმა კვლავ უფერულად ჩაატარეს. დაკვირდით ერთ ფაქტს — 40 წუთის მანძილზე გუნდს რამდენჯერმე მოუხდა ბრძოლის თავიდან დაწყება და ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საბოლოო ჯამში მისი უპირატესობა მხოლოდ 5 ქულით განისაზღვრა



მეტოქის ფარს უტეევს სანაძე.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

სხვა მატჩები

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

მოსკოვი. ადგილობრივმა „დინამომ“ ორივე შეხვედრა მოუგო გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, რიგის ვეფ-ს — 103:79, (48:37) და 86:85 (47:53).

ტალინი. „კალევისა“ და კიევის „ბუდიველნიკის“ შეხვედრებში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს. პირველი ორთაბრძოლა მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 82:79 (40:40), მეორე — სტუმრების 80:75 (49:39).

მოსკოვი. არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა დაამარცხა გათამაშების აუტსაიდერი, ვილნიუსის „სტატიბა“ — 92:75 (39:36).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 თებერვლისთვის

„ბუდიველ.“ (კ.)	34	21	13	55
ცსკა	28	24	4	52
„დინამო“ (მ.)	30	22	8	52
ვეფ (რიგა)	32	18	14	50
„კალევი“ (ტალ.)	27	15	12	42
„უალგირ.“ (კაუნ.)	29	13	16	42
„სპარტ.“ (ლენ.)	30	12	18	42
რტი (მინსკი)	30	11	19	41
ასკ (ალმა-ათა)	23	15	8	38
„დინამო“ (თბ.)	27	11	16	38
„შახტ.“ (დონ.)	28	8	20	36
„სტატიბა“ (ვილნ.)	31	5	26	36

ერთვნული ნიგნიერება

ფრანგები „მოუბერდნენ“

შაგათს ხუთი ერის პირველობაზე მეორე ტურის შეხვედრები მოეწყო.

საფრანგეთი — ინგლისი 7:26 (0:13). თამაში პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ძლიერ ქარში მიმდინარეობდა. მართალია, ინგლისელებმა შარშანაც სძლიეს ფრანგებს (11 ქულის სხვაობით), მაგრამ მათი ასეთი წარმატება ერთობ მოულოდნელია. ეტყობა, ფრანგების მობერებულ გუნდს აღარ ძალუძს, მეტოქეს საკუთარი ნება-სურვილი მოახვიოს თავს.

ამ მატჩში ინგლისელთა მორკინალებმა ერთიანად დაჯაბნეს ფრანგები. დულიმ და ექფორდმა პირწმინდად მოიგეს აუტიდან მოწოდებული ბურთისათვის ბრძოლა, მესამე ხაზის მორკინალებმა — თიგმა და ვინთერბოთომმა კი ღია თამაშში უამრავჯერ დაასწრეს მეტოქეს „ცხელ“ ადგილებში მისვლა. ინგლისელმა ნახევარმცველებმა ჰილმა და ენდრიუმ თამაში ბერბიზიესა და მენელზე უკეთ წარმართეს და ერთხანს სტუმრები 19:0-ითაც კი დაწინაურდნენ. აქ ფრანგები მცირე ხნით გონს მოეგნენ, შარვემ საჯარიმო შეაგდო, უბერებელმა ბლანკომ ლაჟისკეს ლელო გაატანინა, მაგრამ ცენტრიდან თამაშის განახლებისთანავე ფრანგები დაჯარიმდნენ, ჰოჯქინსონმა ზუსტად დაარტყა, თამაშის მიწურულს კი ინგლისელებმა ზედიზედ ოთხი იერიშით ბრწყინვალე ლელო გაიტანეს. სულ გამარჯვებულთა ანგარიშზე სამმეოთხედელთა მიერ გატანილი სამი ლელოა (რ. ანდერვუდი, გასქოთი, ქარლინგი), მცველმა ჰოჯქინსონმა კი ოთხი საჯარიმო შეაგდო და ერთი ლელო გარდასახა.

ირლანდია — შოტლანდია 10:13 (7:0). დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე“, დარი იდგა. წინა ტურში ინგლისელებთან გამანადგურებელი მარცხის (0:23) შემდეგ მასპინძლებმა გუნდში ოთხი ცვლილება მოახდინეს და იმის წყალობით, რომ სტუმრები შეტევის დაბოლოებისას ცდებოდნენ, მათი დამრტყმელი გ. ჰეესთინგსი კი მეტისმეტად სცოდავდა, ტაიმი მოიგეს — ქირნანმა შეაგდო საჯარიმო, ფიბსჯერალდმა კი მორკინალთა იერიში ლელოს გატანით დააგვირგვინა. შესვენების შემდეგ შოტლანდიელებმა უფრო მედგრად შეუტიეს და ქირნანის მიერ შეგდებულ კიდევ ერთ საჯარიმოს შერკინების შემკვრელ ვაითის მიერ გატანილი ორი ლელოთი უპასუხეს, გარე ნახევარმცველმა ჩალმერსმა კი თითო საჯარიმო და გარდასახვა დაარტყა ზუსტად. მატჩის ბოლოს ქირნანს ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ საჯარიმო დარტყმა გაუცუდდა.

ორი ტურის შემდეგ შეჯიბრებას 4 ქულით ინგლისის გუნდი ლიდერობს. შოტლანდიას 2 ქულა აქვს (1 თამაშიდან), საფრანგეთს — 2 (2), უელსს — 0(1), ირლანდიას — 0(2). მესამე ტურში, 17 თებერვალს, ინგლისი უელსს უმასპინძლებს, შოტლანდია — საფრანგეთს.

„სპორტლოტო“

მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-5 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 4 (კრივი), 8 (ველორბოლა, ტრეკი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 25 (საციგაო სპორტი), 40 (რიკაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 8 (ველორბოლა, ტრეკი), 27 (მშვილდოსნობა).

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიპინაძე

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფუალბურთში

ნარუმატეგელი სტარტი

წყალბურთელთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატზე უკვე სამი ტურის შეხვედრები გაიმართა.

ხარკოვი. თბილისის დინამოელთა წარუმატებელი სტარტი გარკვეულ შეშფოთებას იწვევს. ჩვენმა წყალბურთელებმა სამიდან სამი შეხვედრა დათმეს. მეორე ტურში ისინი მოსკოვის ტორპედოელებთან დამარცხდნენ — 1:3 (0:1, 0:0, 1:2, 0:0), მესამეში კი მოსკოვის უნივერსიტეტთან — 8:12 (1:3, 2:4, 5:2, 0:3).

სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „დინამო“ (ლვოვი) — „მოსკვიჩი“ 5:6, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 8:6, „მოსკვიჩი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 7:5, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 8:8.

ალმა-ათა. „დინამო“ (კიევი) — ასკ (სევასტოპოლი) 8:5, კზფ (ბაქო) — ცსკ ვმფ 5:13, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 5:5, ასკ (სევასტოპოლი) — „დინამო“ (მოსკოვი) 8:9, ცსკ ვმფ — „დინამო“ (კიევი) — 14:6, „დინამო“ (ალმა-ათა) — კზფ (ბაქო) 11:7.

გათამაშების ცხრილები

ხარკოვის ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.ჭ.
„მოსკვიჩი“	3	3	0	6
უნივ. (მოსკ.)	3	2	1	0 5
„ლოკ. (ხარკოვი)	3	1	1	1 3
„ტორპედო“ (მ.)	3	1	0	2 2
„დინამო“ (ლვ.)	3	0	2	1 2
„დინამო“ (თბ.)	3	0	0	3 0

ალმა-ათის ჯგუფი

ცსკ ვმფ	3	3	0	0 6
„დინამო“ (ა-ათა)	3	1	2	0 4
„დინამო“ (კიევი)	3	2	0	1 4
„დინამო“ (მოსკ.)	3	1	1	1 3
ასკ (სევასტოპ.)	3	0	1	2 1
კზფ (ბაქო)	3	0	0	3 0

წიგნი ქართველ ფალავანზე

მთელი საქართველო ამაყობდა ბეჭდაუდებელი ფალავნის კოსტა მაისურაძის სახელით. მისი ვაჟკაცობის ამბები დღესაც ლეგენდასავით არის შემონახული.

მზარეული კაცი ჭაბუკობიდანვე გაიტაცა ჭიდაობამ, ზოგჯერ დღეში 8-10 საათს ვარჯიშობდა. მაშინდელ ქართული ცირკის მესვეურებს, სადაც ჭიდაობა იმართებოდა, მოსწონდათ მისი ასეთი შრომისმოყვარეობა და გვერდიდან არ იშორებდნენ. მრავალ ქვეყანაში იმოგზაურეს ერთად, კოსტა მაისურაძე არასდროს დამარცხებულა, მისი მოუდრეკელი ბეჭები ხალიჩას არ შეხებია. არაოფიციალურ ტურნირებში გამარჯვებულს, ორჯერ მიენიჭა მსოფლიო ჩემპიონის სპატიო ტიტული.

ბევრი რამ მსმენია ხალხში ლეგენდადქცეულ ფალავანზე. იგი უდავოდ ღირსი იყო, რომ მის შესახებ წიგნი გამოცემულიყო. და აი, გამომცემლობა „განათლებამ“ ახლახანს გამოასწორა ეს ხარვეზი, გამოსცა ჟურნალისტ თამაზ ანთაძის წიგნი — „ქართველი ფალავანი კოსტა მაისურაძე“, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება და ჩვენი აზრით, წიგნის მთავარი ღირსებაც ამაშია. ვინ იცის, რამდენ საინტერესო ამბავს გაეცნობით ამ წიგნში, რამდენ მივიწყებული სპორტსმენის გვარს ამოიკითხავთ, რამდენი პაექრობის „უშუალო მონაწილე“ გახდებით. წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის ასახული სახელოვანი ქართველი მოჭიდავის, თავის დროზე განათლებული კაცის მიერ გაწვლილი ცხოვრების გზა.



— „სპორტი კეთილშობილ ადამიანთა ასპარეზია“ — უყვარდა ხოლმე თქმა სახელოვან ფალავანს და უპირველეს ყოვლისა, თვითონ იცავდა ცხოვრებაში ამ დევიზს.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. ახალგაზრდა თაობა იქ ბევრ მისთვის საჭირო დარიგებას ამოიკითხავს. სახელოვანი ფალავნის მაგალითზე თაობები აღიზარდნენ და მჯერა, რომ მომავალშიც იგი მისაბაძი იქნება ყველასათვის.

ერთი შენიშვნაც: წიგნში რატომღაც არაფერია ნათქვამი, თუ რა წარმატებას მიაღწიეს ქართველმა ფალავნებმა და, კერძოდ, კოსტა მაისურაძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას. როგორც ჩანს, ავტორს ამის თაობაზე სათანადო მასალა არ გააჩნდა, თორემ ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა.

გამომცემლობა „განათლებამ“ ამ წიგნის დაბეჭდვით კარგი საქმე გააკეთა. ქართველი მკითხველი დიდად გაიხარებს თუ მომავალში სხვა სახელოვან ფალავნებზე დაწერილ წიგნებსაც იხილავს.

გივი ჯანელიძე.

პასუხებს იძლევა პრეზიდენტი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ინტერვიუ მისცა გაზეთ „დიარიო დეს სპორტივოს“ კორესპონდენტს.

სამარანჩს ჰკითხეს რა აზრისაა ბერლინში ოლიმპიური თამაშების მოწყობაზე?

— ბერლინი წლების განმავლობაში მსოფლიოს გათიშვის თავისებური სიმბოლო იყო. ახლა კი მას შეუძლია გახდეს იმავე მსოფლიოს გაერთიანებისა და სოლიდარობის სიმბოლო. ამის გამო ბერლინი საკმაოდ ძლიერ კანდიდატად მიმაჩნია.

სამარანჩს ჰკითხეს: ვინ უნდა წამოაყენოს ბერლინის კანდიდატურა, როცა ქალაქს ორი ბურგომისტრი ჰყავს და როცა იქ ორი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მოღვაწეობს?

— თუ მათ შორის მოხდება შეთანხმება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ყოველგვარი სირთულეების გარეშე მიიღებს ერთი რომელიმე მხარის განაცხადს.

სამარანჩს ჰკითხეს: რომელ წელს ექნება ბერლინს გამარჯვების მეტი შანსი, 2000 თუ 2004 წელს?

— მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების კომპეტენციაა როდისთვის გადაწყვეტენ კანდიდატურის წამოყენებას. შანსები ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით, თანაბარია.

სამარანჩს ჰკითხეს: შესძლებს თუ არა ბერლინი წარმატებით გაართვას თავი ამ ამოცანას?

— ბერლინს, რა თქმა უნდა, ბევრი პრობლემა ექნება, უმთავრესად სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხში. მაგრამ მანამდე ბევრი დროა.

სამარანჩს ჰკითხეს: როდის აირჩევენ 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს?

— ეს მოხდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, რომელიც უნდა ჩატარდეს 1993 წელს მონაკოში.

სამარანჩს ჰკითხეს: თანამედროვე პირობებში რა მიაჩნია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მთავარ ამოცანად?

— ჩვენ მუდამ ვიბრძოდით და ახლაც ვიბრძვით საყოველთაო მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და სოლიდარობისათვის.

სამარანჩს ჰკითეს: რას იტყვით თქვენი ორგანიზაციის მომავალ გეგმებზე?

— ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სოკ-ის, საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ერთიანობის განმტკიცება. ეს ყველაზე მეტად განსაზღვრავს ჩვენი ორგანიზაციის — ამ შემთხვევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ავტორიტეტს.

ინდექსი 68485. საქართველოს კპ ცკ- გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარიულის ქ. 29. უე 00351